ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრი ლევანი მჭედლიშვილი

არჩევის წესი მაჟორიტარული. სვირის ადმინისტრაციული ერთეული

საანგარიშო პერიოდი 30.10.2025-01.10.2026 წელი.

თანამდებობა-ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

ამავდროულად ვარ ახალციხის მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის წევრი. ასევე ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს წევრი. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის წევრი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული 17 საკრებულოს სხდომიდან დასწრებული ვარ 17 სხდომას. მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიას ჩატარებული აქვს 8 სხდომა დასწრებული ვარ 8 სხდომას. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის მიერ ჩატარებულ 2 სხდომიდან დასწრებული ვარ 2-ვე სხდომას. ასევე ჩატარებული მაქვს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 10 სხდომა.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი მხარდაჭერილი საკითხებია:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის და 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცება.
2. ახალციხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დამტკიცება.
3. ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭბის წესის დამტკიცება.
4. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცება.
5. ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშთა საკითხებზე მომუშვე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცება.
6. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება.
7. ახალციხის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცება.

მოსახლეობასთან შეხვედრები ხორციელდება სისტემარულად, როგორც სამუშაო ადგილზე ასევე გასვლით შეხვედრებზეც. მოსახლეობის მხრიდან ძირითადად ხდება სოციალური და ინფრასტუქტურული საკითხების დასახელება. კერძოდ:

1. სოფ ტატანისში შიდა გზების,სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია და მინი სტადიონის მოწყობა.
2. სოფ სვირში შიდა გზების მოწესრიგება, სანიაღვრე არხების მოწყობა, გარე განათების ახალი წერტილების დამატება და სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია.
3. სოფ ბოგაში გარე-განათების ახალი წერტილების მოწყობა, შიდა გზების მოწყობა და მინი სტადიონის რეაბილიტაცია.

მოსახლეობის მიერ დასახელებული პრობლემებიდან ნაწილობრივ მოგვარდა, კერძოდ სოფელ ბოგასა და სვირში სოფლის პროგრამის ფარგლებში დაიგო ბეტონის გზა.

მოსახლეობის მიერ დასახელებული პრობლემების მოგვარების მიზნით მერიის შესაბამის თანამდებობის პირებთან მაქვს სისტემატური კომუნიკაცია.

ასევე ვღებულობ ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობას.

ლევანი მჭედლიშვილი

წარდგენის თარიღი: 30.10.2026.